აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
დადგენილება

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის
შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის
პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საერთო სახალხო განხილვის საორგანიზაციო
კომისიის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მუხლი 1.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საერთო სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდეს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისა და საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი.

მუხლი 2.

შეიქმნას საერთო სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თამაზ ხუბუა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ზურაბ ხონელიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

ვეფხვია გვარამია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

აკაკი გასვიანი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

როსტომ შამუგია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

მურმან კვარაცხელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ნუგზარ მგალობლიშვილი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

რუდიკ ცატავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებასთან ნდობის აღდგენის და დეოკუპაციის კომისიის თავმჯდომარე;

რაისა ქარაია - ფრაქცია „ახალი აფხაზეთი სამართლიანობა" თავმჯდომარე;

თემურ ლორთქიფანიძე - ფრაქცია „მრგვალი მაგიდა - დიალოგი ერთიანი საქართველოსთვის" თავმჯდომარე;

ჯემალ საჯაია - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

დავით ფაცაცია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში;

ოთარ გარმელია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსი;

ზურაბ მებონია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი;

ნოდარ ჯალაღონია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესპურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

გიორგი გვასალია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე;

თამაზ სანიკიძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატის უფროსი.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

ქ. თბილისი

22.08.2019წ.
N83-პ